გახსოვდეთ!

ამ დაავადებების თავიდან აცილება მხოლოდ საკუთარი სიფრთხილით არის შესაძლებელი!

ასოციაცია „ჰერა XXI-ის ახალგაზრდული მეგობრული ცენტრების მისამართი:

ქ. თბილისი, ილორის 14
შპს №27, მოზრდილთა პოლიკნინიკა,
II სართული;

ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის 27
IVსართული, ოთახი 7;

ქ.ახალციხე, დიდიმამიშვილის 2
რეგიონალური პოლიკნინიკა, II სართული;

ცხელი ხაზი: (8 265) 2 07 22
სამუშაო საათები: (12–16–მდე)
რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ
კონსულტაციისთვის მიმართეთ:
www. youth-counceling.ge
ვირტუალური კონსულტაციის
სამუშაო საათებია: 15–18 სთ–მდე
(შაბათ–კვირის გარდა)



# თქვენი პირადი მრჩეველი!
## ბიჭებისთვის



## შესავალი

- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები
- სგგი-ს ტესტირება ვის მივმართოთ
- მავნე ჩვევების ზემოქმედება მამაკაცის რეპროდუქციულ ფუნქციაზე და ჯანმრთელობაზე
- ჰიგიენა
- საინფორმაციო გვერდი



# რა არის სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები (სგგი)

სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებს (სგგი) მიეკუთვნება ის დაავადებები რომლის გადაცემა უპირატესად სქესობრივი კონტაქტით ხდება.

## სგგი - ს ყველაზე ხშირი სიმპტომებია:

- სასქესო ორგანოებიდან უჩვეულო გამონადენი
- სასქესო ორგანოების შეშუპება და ტკივილი
- სიწითლე, წყლულები, გამონაყარი
- შარდვისას წვის შეგრძნება
- ტკივილი სქესობრივი აქტის






## როგორ დავიცვათ თავი სგგი და აივშიდს-საგან

- ისარგებლეთ კონდომით (პრეზერვატივი)
- თავი აარიდეთ შემთხვევით სქესობრივ კავშირს
- იყავით თქვენი პარტნიორის ერთგული
- არ ისარგებლოთ სხვის მიერ ნახმარი შპრიცით, ჯაგრისით ან სამართლებლით.





- დაინფიცირების ეჭვის შემთხვევაში, დროულად მიმართეთ ექიმს გამოკვლევებისა და დროული მკურნალობისთვის.
- ნუ მიმართავთ თვითმკურნალობას და ნურც ნაცნობ-მეგობრების რჩევით მიიღებთ მედიკამენტებს.



- ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მიღება ადამიანის წინდაუხედავს ხდის და ხელს უწყობს სგგი-ს გავრცელებას.
- სგგი-ზე გამოკვლევისას გათვალისწინებული უნდა იქნას ყველა ინფექცია, ვინაიდან ისინი უმეტესად კომპლექსური სახით
- გვხვდება

სგგი-ის არსებობის შემთხვევაში ორივე სქესობრივმა პარტნიორმა უნდა იმკურნალოს, სხვანაირად თერაპიას შედეგი არ ექნება.



## რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის გამოკვლევის მეთოდები მამაკაცებისათვის



გვახსოვდეს, რომ პერიოდული გამოკვლევა სგგი-ზე, ყველაზე კარგი საშუალებაა სგგი-ს და აივ/შიდსის გამოვლენისათვის და ასევე მისი დროული მკურნალობისათვის.

ამ დაავადების გამოვლენის ერთადერი საშუალებაა, გამოკვლევა!!!



გახსოვდეთ, რომ სგგი-ს გამოსავლენად გამოყენებული გამოკვლევის მეთოდი, დამოკიდებულია ისტორიაზე რომლითაც თქვენ მიმართავთ ექიმს, გაქვთ თუ არა რაიმე სიმპტომები თუ გაქვთ როდის შენიშნეთ და როგორ სქესობრივ ცხოვრებას ეწევით.

- სისხლის გამოკვლევა, აივ-ის, სიფილისის და ჰეპატიტის A და C იმუნოლოგიური (ანტისხეულების) გამოკვლევისათვის.
- შარდის გამოკვლევა, გონორეის და ქლამიდიის გამოსავლენად.
- ნაცხის ანალიზი, ქლამიდიის, გონორეის, ტრიხომონიაზის,სოკოვანი დაავადებების გამოსავლენად

- ანალური ნაცხი, ქლამიდიის და გონორეის გამოსავლენად
- ფიზიკური დათვალიერება, (კანის და ხილული ლორწოვანი გარსების) ჰერპესის, გენიტალური კონდილომების და სიფილისის გამოსავლენად.

აუცილებელია ექიმს სწორი და გულახდილი ინფორმაცია მიაწოდოთ კონსულტაციის დროს. ეს ინფორმაცია განსაზღვრავს გამოკვლევის მეთოდს.



### ჩანართები:

ერთი რომელიმე სქესობრივი გზით გადამდები დაავადებით დაინფიცირება, ზრდის სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებით დაინფიცირების რისკს.

არასოდეს არ ეცადოთ იმკურნალოთ თვითნებურად, გამოიყენოთ რაიმე მალამოები ან ანტიბიოტიკები, ექიმის კონსულტაციის გარეშე. ამან შეიძლება შენიღბოს სიმპტომები და გამოიწვიოს დიაგნოსტიკური შეცდომა.

ყურადღებით! ზოგიერთი სგგდ შეიძლება მიმდინარეობდეს უსიმპტომოდ, ან სიმპტომები არ იყოს მწვავე, შესამჩნევი და არც თვალით ხილული. ასე, რომ თუ თქვენ გქონდათ, სარისკო ქცევა, აუცილებელია კონსულტაციისთვის მიმართოთ ექიმს.

თუ თქვენ იმკურნალეთ სგგდ-ზე, აუცილებლად ურჩიეთ და შესთავაზეთ თქვენს სქესობრივ პარტნიორს ჩაიტაროს გამოკვლევა სგგდ-ზე.



გვახსოვდეს, რომ! ორალური კონტრაცეპტივები, სპერმიციდები, ვაგინალური კონტრაცეფციის საშუალებები, შეწყვეტილი სქესობრივი აქტი, არ იცავს არც-ერთი სქესობრივი გზით გადამდები დაავადებისაგან.

შეატყობინე შენს პარტნიორს. თქმა შეიძლება იყოს რთული, მაგრამ ეს უნაყოფობის მიზეზს შემთხვევათა 60-70%-ში გადატანილი სგგი წარმოადგენს

## მავნე ჩვევების ზემოქმედება მამაკაცის რეპროდუქციულ ფუნქციაზე და ჯანმრთელობაზე

### თამბაქო



მწეველი მამაკაცების სპერმატოზოიდებს, განაყოფიერების შესაძლებლობა 75%-ით ნაკლები აქვთ, ვიდრე არა მწეველებს, თუმცა არ შესაძლებლობის შეზღუდვა დამოკიდებულია მოწევის „სტაჟზე". მწეველებში არსებობს მხედველობის დაქვეითების მაღალი რისკი.



## ალკოჰოლი

ალკოჰოლი ნეგატიურად მოქმედებს რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე. მისი რეგულარული მოხმარება აქვეითებს პოტენციას. ალკოჰოლი აზიანებს არამარტო რეპროდუქციულ ფუნქციას არამედ მთელს ორგანიზამს, კერძოდ:
ინვევს ცენტრალური ნეტვული სისტემის დეგრადაციას, ღვიძლის ციროზს, იმპოტენციას, კუჭის წყლულს და დამოკიდებულების სინდრომის ჩამოყალიბებას (ალკოჰოლიზმს).

## ნარკოტიკები



ნარკოტიკების მოხმარება აზიანებს რეპროდუქციულ სისტემას. ნარკოტიკის მოხმარება აქვეითებს იმუნურ სისტემას და ხელს უწყობს სხვადასხვა ინფექციური დაავადებების განვითარებას. აქვეითებს ორგანიზმის ბრძოლის უნარიანობას სხვადასხვა დაავადებების მიმართ. აზიანებს ფილტვის ქსოვილს. ისეთი ნარკოტიკული საშვალება როგორიც არის მარიხუანა აზიანებს ტვინის უჯრედებს და ინვევს მის ნაკროზს. განსაკუთრებით საყურადღებოა მარიხუანას მოქმედება კაცის სასქესო ჰორმონზე ტესტოსტერონზე.



მარიხუანა ამცირებს მესტოსტერონის დონეს მამაკაცის ორგანიზამში, რომლის ნაკლებობაც ინვევს ერექციის დაქვეითებას.

## ჰიგიენა



- ჰიგიენის დაცვა აუცილებელია ადამიანის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად!

დაიცავით შემდეგი ნორმები:



- ხშირად იბანეთ გენიტალური ადგილები
- უსუნო საპნით.
- დარნმუნდით, რომ პარტნიორი (მისი
- არსებობის შემთხვევაში) იცავს ჰიგიენის ნორმებს.
- აბაზანის მიღებას შხაპის მირება სჯობს
- უპირატესობა ბამბის საცვლებს მიანიჭეთ
- სველი ტანისამოსი დიდხანს არ გაიჩეროთ, განსაკუთრებით საცურაო კოსტუმი
- დაიმახსოვრეთ, რომ სქესობრივი ჰიგიენა პერსონალური ჰიგიენის ნანილია, გაუფრთხილდით საკუთარ სხეულს.

## ცხრილში მოცემულია,რომელი ბიოლოგიური სითხისმეშვეობით გადაეცემა შიდსი და სგგდ.

| დაავადებები: | სპერმა | ვაგინალური სეკრეტი | ნერწყვი | სისხლი | შარდი | განავალი | ცრემლი, ოფლი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| • აივ/შიდსი | Δ | O | | * | | × | |
| • ჰეპატიტი A | | | ● | | | × | |
| • ჰეპატიტი B | Δ | O | ● | * | | | |
| • ჰეპატიტი C | Δ | O | | * | | | |
| • ათაშანგი (სიფილისი) | Δ | O | | * | | | |
| • ჰერპესი | Δ | O | ● | * | | | |
| • გენიტალური მეჭეჭები (კონდილომები) | Δ | O | | | | | |
| • ქლამიდიოზი | Δ | O | ● | | | | Ω |
| • გონორეა | Δ | O | ● | * | | | |
| • ტრიხომონიაზი | Δ | O | ● | * | | × | |
| • სოკოვანი დაავადებები (კანდიდოზი) | Δ | O | ● | | | | |

*პირობითი ნიშნები:*

• სპერმა Δ • ვაგინალური სეკრეტი O • ნერწყვი ● • სისხლი * • შარდი !! • განავალი × • ცრემლი, ოფლი Ω